მეორე წელიწადი მესამე ფასი 7 კაპ. ხუთშაბათი, 1917 წ. მაისის, 11 (24)

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე. ხელთნაწერები წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

ტელეფონი 15—73

განცხადების ფასი: ჩვეულებრივ განცხადებებში ყოველ სტრიქონზე პეტიტით ღირს 30 კ., უკანასკნელზე—20 კ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: საპირველი ქონი პეტიტი 1 გვ.-ზე ღირება 50 კ. 4-ზე 30 კ., ტექსტში—80 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოეული ზომით 15×2 ღირს 6 მ.; 20×2 ღირს 8მ., 25×2 ღირს 10მ. 3 საათის შემდეგ (წიღება მხოლოდ ა. კალანდაძის სტამბაში) ღირს. მიწოდება. განმეორებისა № ღირს ყველგან 10 კ.

№ 100 ყოველდღიური გაზეთი ეროვნულ-დემოკრატიულ მიმართულებისა № 100

# სესხი თავისუფლებისა

**მოქალაქენო!** სამშობლო და თავისუფლება განსაცდელშია.

მტრის მოსაგერებლად, რევოლიუციით შექმნილ **თავისუფლების** განსამტკიცებლად—საჭიროა ფული, ბევრი ფული.

დროებითი მთავრობა პირველად მოგმართავთ, თავისუფალ რუსეთის მოქალაქენო და გთხოვთ გაუმაგრეთ ზურგი, რათა ებრძოლოს ძლიერსა და შეუბრალებელს მტერს, რათა განამტკიცოს დემოკრატიული წესწყობილება. ამიერ-კავკასიის ყველა ეროვნების მამულიშვილნო! გულგრილად ვერ მოეკიდებით როცა ემუქრებიან ჩვენს თავისუფლებას აქედან თუ იქიდან, ემუქრებიან იმ ჩვენს **თავისუფლებას,** რომელიც შეგვიძენია მით, რომ გვიწირავს სიცოცხლე რუსეთის საუკეთესო შვილთა, უნდა აღვიძრნეთ მის დასაცველად. რადგან მტერთან საბრძოლველად, თავისუფლების დასაცველად საჭიროა ყოველგვარი ღონისძიება,—უნდა გამოვიღოთ ეგ ღონისძიება და გამოვიღებთ კიდეცა.

მოქალაქენო! გამარჯვება სესხისა დაამტკიცებს, რომ გვწამს რევოლიუცია. საჭიროა მთელმა ქვეყნიერებამ შეიგნოს, რომ რუსეთის მამულიშვილებს სწამთ რევოლიუცია. მაშინ ქვეყნიერებაც იწამებს რევოლიუციას. მაშინ თავისუფლების განმტკიცებაც გაადვილდება.

მოქალაქენო! განცხადება დროებითის მთავრობისა, მოაწერეთ ხელი თავისუფლების სესხზედ, მოწოდებაა, ჩვენის მოქალაქობრივი გრძნობის აღძვრაა და ჩვენც, ქვემორე ამისა ხელის-მომწერი პოლიტიკური ორგანიზაციები და პარტიები ვიზიარებთ მაგ მოწოდებას, აღვიძვრნეთ მამულისა და თავისუფლების დასაცველად.

მაშ, აღასრულეთ მოვალეობა სასახელო და საპატიოსნო.

მოაწერეთ ხელი თავისუფლების სესხსა და დაეხმარეთ დროებით მთავრობას — მოიგერიოს მტერი და ბოლომდე მიიყვანოს ქვეყნის გადემოკრატების საქმე **თავისუფლებისა, თანასწორობისა და ძმობის** საფუძველზედა.

**გამოიტანე, ერო თავისუფალო, შენი დაზოგილ-დაუნჯებული დიდი საერო და საშვილიშვილო საქმის დასაცველად.**

საზოგადო კომიტეტი თავისუფლების სესხისა
ამიერ კავკასიის საოლქო კომიტეტი სოციალისტ რევოლიუციონერებისა
საოლქო კომიტეტი რუსეთის სოც. დემოკრატიულ პარტიისა
თბილისის ცენტრალური კომიტეტი დაშნაკციუტუნისა
თბილისის საქალაქო კომიტეტი ხალხის თავისუფლების პარტიისა

ჯარისკაცთა დეპუტატების აღმასრულებელი კომიტეტი
მუშათა დეპუტატების აღმასრულებელი კომიტეტი
თბილისის საქალაქო აღმასრულებელი კომიტეტი
საქართველოს ეროვნულ დემოკრატიულ პარტიის მთავარი კომიტეტი
ქართველ ს.-ფედერალისტების სარევოლიუციო პარტიის თბილისის კომიტეტი

## თბილისი, მაისის 11.

# ეროვნული საბჭო

მთრიგ საკითხთა შორის, რომლებიც დაუყოვნებლივ გადაწყვეტას თხოულობენ, პირველი ადგილი ქართულ ეროვნულ საბჭოს უჭირავს. ნუ ვიკამათებთ თვით სახელის შესახებ. დაწესებულებას, რომელზედაც ჩვენ ვლაპარაკობთ, იქნება სხვა სახელი უფრო შეეფერებოდეს, მაგრამ თვით იმ დაწესებულების მნიშვნელობაზე, სადაც ყველა პარტია იქმნება წარდგენილი და ამნაირად მეტ-ნაკლებობით მთელი ქართველი ერი, ორნაირი აზრი შეუძლებელია.

ქართველი ერის წარმომადგენლები ამა თუ იმ პარტიის სახით ყველა დაწესებულებაში არიან. კოალიციურ სამინისტროში წერეთელია და, როგორც ყოფილი დეპუტატი, დღესაც ქართველი ხალხის წარმომადგენელია. სახელმწიფო სათათბიროს აღმასრულებელ კომიტეტში კ. ჩხეიძეა, რომელიც ორ სათათბიროში ქართველ ხალხის დეპუტატის მანდატს ატარებდა. პეტროგრადის მუშათა და სალდათთა დეპუტატების საბჭოში იგივე კ. ჩხეიძე, რამიშვილი და სხვები არიან. ამიერ კავკასიის კომიტეტში ა. ჩხენკელი და კ. აბაშიძეა. დასასრულ, თბილისის მუშათა დეპუტატთა საბჭოში, რევოლიუციის მთავარ ორგანოში, კავკასიაში ნ. ჟორდანია და ქართველთა მთელი წყება. აი სურათი, რომელიც გვეუბნება, რომ საქართველო საკმაოდ არის წარდგენილი რევოლიუციის წინაშე, არა მარტო რიცხვით, არამედ ხარისხითაც, რადგანაც ყველა ეს სახელები უკვე დიდი სახელებია, სამუდამოდ გადაბმული რუსეთის რევოლიუციის ისტორიასთან. დასკვნა აქედან ერთი უნდა იყოს: ყოვლად წარმოუდგენელია, რომ პოლიტიკური შედეგები ქართველების ასეთის მონაწილეობისა რევოლიუციაში უმნიშვნელო იყოს ქართველ ხალხისთვის. მაგრამ ჩვენ თვალები არ უნდა დავხუჭოთ ერთ უდიდეს გარემოების წინაშე. ყველა ამ პირთა როლი ამ ჟამად საზოგადო რუსეთული და საზოგადო-რევოლუციურია, ისე როგორც თვით რუსეთია ამ ჟამად საზოგადო რუსეთული და არა რუსული. ასეთი მდგომარეობა გაგრძელდება იქამდე, ვიდრე დამფუძნებელი კრება არ შესდგება, სადაც ქართველ ხალხს უკვე თავისი წარმომადგენლები ეყოლება. მაგრამ ნიშნავს განა ეს იმას, რომ ეხლაც კი, როცა სარევოლუციო ინტერესები ერთია ქართველისთვის და არა ქართველისთვის, არ არსებობს წმინდა ქართული ინტერესები? არასოდეს! ეს ინტერესები არსებობენ, უფრო მეტყველურად, ვიდრე ოდესმე და ამავ დროს კი მისი გამომხატველი ორგანო არა სჩანს. არა სჩანს იმიტომ, რომ არ არსებობს. შეიძლება გვითხრან, რომ ყველა ეს საქართველოში მომქმედ პარტიების საქმეა. მაგრამ როგორი პარტიების—შეთანხმებულის, თუ დაქსაქსულის? ცალკე პარტიის როლი საერთო ქართულ საკითხებში იმდენადვე კერძოა, რამდენად საზოგადო და საერთოა წერეთლის, ჩხეიძის, ჩხენკელის და ჟორდანიას როლი რევოლუციაში. ცალკე პარტიის აზრი სავალდებულოა თვით ამავ პარტიისთვის, მაგრამ არა სხვა პარტიებისთვის და მით უმეტეს მთელი საქართველოსთვის. ეს საკმაო საბუთია იმისა, რომ შევქმნათ ახალი გარემოება, რადგანაც ის, რაც არსებობს, საკითხს ვერ სწყვეტს. რა უნდა იყვეს ეს ახალი? მხოლოდ პარტიული შეთანხმება. ამ ისტორიულ ხანაში საქართველოს უნდა ჰქონდეს ისეთი დაწესებულება, რომლის აზრს უფრო მეტი მნიშვნელობა ექნება, ვიდრე გამოსვლას ცალკე პარტიისას.

ჩვენ ვფიქრობთ, დადგა დრო, როცა ეს საკითხი დაუყონებლივ უნდა გადასწყდეს.

# ფხიზელი რევოლუცია

რუსის ჯარი, როგორც სჩანს, ვერ არის მაინცა და მაინც ბრძოლის გუნებაზე. ერთი დიდი შეუგნებელი ნაწილი სანგრებიდან ამოდის, იარაღს სტოვებს და ერხეინად შინისკენ მიემგზავრება. სხვები მემამულეებს არბევენ და რკინის გზის სადგურებს ანადგურებენ. კიდევ სხვები გერმანელებს ჰკოცნიან. ყველაზე შეგნებული ნაწილი თავის პოსტზე სდგას შეუდრეკლად, მაგრამ ყოველს შემთხვევაში მაინც ომის გათავებასა და უანექსიო და უკონტრიბუციო ზავის ჩამოგდებას ითხოვს. ასეთს გარემოებაში იმპერიალისტურს პოლიტიკას ყოველი ნიადაგი ეცლება.

ეს გარემოება დიდათ აღონებს ზოგიერთ რუსის პატრიოტს. ყოფილმა სამხედრო მინისტრმა გუჩკოვმა წასვლის წინ განცვიფრება გამოსთქვა იმის გამო, რომ რუსეთის დიდმა რევოლუციამ ისეთი მამულიშვილური აღფრთოვანება ვერ გამოიწვია, როგორიც თავის დროზე საფრანგეთის დიდმა რევოლუციამ გამოაშკარავა. პირიქით: რუსეთის სამხედრო ენერგია რევოლუციის დაწყების შემდეგ თითქო კიდეც მოდუნდა.

მართლაც, დიდად დამახასიათებელია ეს გარემოება. უკანასკნელი ორი თვის განმავლობაში რამდენჯერმე საჯაროდ გამოცხადდა, რომ სამშობლო განსაცდელშია. ამგვარ განცხადებას საფრანგეთში ერთს დროს ეროვნული ენერგიის აფეთქება მოჰყვა. რუსეთში კი ჯერ არსად სჩანან არც დანტონები და კარნოები, რომელნიც გამარჯვების ორგანიზაციას მოაწყობენ, არსად სჩანან რევოლუციური გენერლები, რომელნიც ჯარს გამარჯვების გზებს უჩვენებენ.

რით აიხსნება ეს მოვლენა? ნუ თუ რუსის ხალხი მართლაც მოკლებულია მამულიშვილურ გრძნობას, ნუ თუ მას მართლა სხვაზე ნაკლებ უყვარს სამშობლო?

სამშობლოს სიყვარული არ შეიძლება აბსტრაქტულად. არ შეიძლება სამშობლოს სიყვარული მარტო იმისთვის, რომ ის ვრცელი და ბარაქიანია; საჭიროა, რომ ამ სივრცეში ადამიანს ერთი კუთხე მაინც ჰქონდეს, ან ერთი კერა, რომელიც მას იზიდავს მოგონებებით, სითბოთი და ლაზათიანობით. საფრანგეთის დიდმა რევოლიუციამ ასეთი კერა მისცა ფრანგის გლეხს, და ამ უკანასკნელმა რევოლიუციურ ომებში თავი დასდო სამშობლოსათვის.

რა მოგონებები წაიღო რუსის ჯარისკაცმა სამშობლოდან და რა შესძინა მას ჯერჯერობით რევოლუციამ? სამწუხაროდ რუსეთის დიდი რევოლუცია ევროპიული ომის პროცესში დაიწყო და არა ომის წინ, როგორც საფრანგეთში: ომის პროცესში კი მეტისმეტად ძნელია ძირითადი სოციალური და ეკონომიური საკითხების გადაწყვეტა. სამშობლოს იდეა აგრე რიგად ძვირფასი არ გამხდარა რუსის ჯარისკაცისათვის, მიტომ, რომ საფუძვლიანად არ შეცვლილა მისი ქონებრივი, საზოგადოებრივი და ზნეობრივი მდგომარეობა. გასაკვირალი არ არის, რომ როზგის მოსპობამ ან ტრამვაის ვაგონში ჩაჯდომის უფლებამ პატრიოტული აღფრთოვანება ვერ გამოიწვია რუსის ჯარისკაცში.

საყურადღებოა კიდევ ერთი გარემოება. ფრანგის ერმა პირველი დიდი ბურჟუაზიული რევოლუცია მოახდინა ევროპის კონტინენტზე. დანარჩენს ევროპაში მაშინ კიდევ ფეოდალური წესწყობილება იყო გამეფებული. და მთელმა კონსერვატიულმა ევროპამ სამკვდრო-სასიცოცხლო ომი გამოუცხადა რევოლუციურ საფრანგეთს. იქ სამშობლო მართლაც უკიდურეს განსაცდელში ჩავარდა: ფრანგის ერი დაღუპვას საზოგადოებრივი კეთილდღეობის კომიტეტმა და პატრიოტულმა ლაშქარმა გადაარჩინა.

რუსეთმა პირიქით უკანასკნელი ბურჟუაზიული რევოლუცია მოახდინა ევროპის კონტინენტზე. მთელს დასავლეთ ევროპაში კარგა ხანია კიდეც ბურჟუაზიული წესწყობილებაა გაბატონებული. არსებითად რუსეთის სახელმწიფოს მეზობლებისაგან დღეს ნაკლები საფრთხე მოელის, ვიდრე გუშინ ელოდა. მეფის მთავრობამ ომის დაწყებისთანავე დაჰკარგა პოლონეთი, კურლიანდია, დასავლეთი მხრის ნაწილი; რევოლუციურ რუსეთს ჯერ თითქმის ერთი გოჯი მიწაც არ დაუკარგავს, ჯარის არევ-დარევისა და მოდუნების მიუხედავად. არც გერმანიას, არც ავსტრო-უნგრეთს აღარ ძალუძს წინანდელი გაფთრებით რუსეთს ეკვეთოს. უკანასკნელი ცნობების მიხედვით მტრის ჯარმა პირი იბრუნა დასავლეთისკენ. ასეთ პირობებში ნელ-ნელა ნიადაგი ეცლება რუსეთის სამხედრო აღფრთოვანებას. ომის უაზრობა ყველასათვის აშკარა ხდება.

საფრანგეთის რევოლუციის მოღვაწეებს შეურყევლად სწამდათ, რომ მათ სამშობლოს ბედნიერება მიჰქონდა მთელი კაცობრიობისთვის. საფრანგეთი მეთაურობდა ხალხების ბრძოლას ტირანების წინააღმდეგ. საკანონმდებლო დაწესებულებაში ერთმა იაკობინელმა გულწრფელად წამოიძახა: „რევოლუცია მარტო საფრანგეთისთვის როდი ხდება; ჩვენ ანგარიში უნდა მივსცეთ მთელს კაცობრიობას!“ ეროვნული კონვენტის პროკლამაციაში, რომელიც ფრანგის ჯარისადმი იყო მიმართული, შემდეგი აღმაფრთოვანებელი სიტყვები ეწერა: „კალძისა, შპეიერის და არგონების მებრძოლნო! ნუ თუ თქვენ დაღუპავთ სამშობლოს, რომელიც ერთხელ კიდეც დაიხსენით? თუ თქვენ დამარცხდით, საფრანგეთი მტრების სამასხარო და ტირანების საჯიჯგნი გახდება. თქვენი დამარცხება დედამიწას შავი სამოსელითა და ცრემლებით დაჰფარავს: თავისუფლება მიატოვებს ამ სევდიან ქვეყანას და მასთან ერთად გაჰქრება ადამიანური ტომის იმედები. დიდხანს კიდევ მას შემდეგ, რაც თქვენ აღარ იქნებით, უბედური ადამიანები თავისი ბორკილებით მოვლენ თქვენს სასაფლაოზე და შეურაცხყოფენ თქვენს ნაშთს. მაგრამ, თუ თქვენ გაიმარჯვებთ, ბოლო მოეღება ტირანიას. ერები ერთმანეთს გადაეხვევიან და ხანგრძლივი შეცდომის გამო დარცხვენილი სამუდამოდ ჩააქრობენ ომის ლამპარს. თქვენ გამოცხადებულ იქნებით სამშობლოს მხსნელებათ, რესპუბლიკის დამაარსებლებათ, სამყაროს განმაახლებლად!“

ეს საუცხოვო მოწოდება ჟირონდელი ინარის კალამს ეკუთვნის, ჟირონდელები კი ტიპიური წარმომადგენლები იყვნენ ლიბერალური ბურჟუაზიისა. შეუძლიან თუ არა თანამედროვე ლიბერალს ასეთი ცეცხლის მფრქვეველი სიტყვების წარმოთქმა? ვერც გუჩკოვი, ვერც მილიუკოვი, ვერც თვით კერენსკი ვერ გამოიჩენს ასეთს პათეტიზმს, მათს პირში იაკობინელებისა ან ჟირონდელების მსგავსს მოწოდებებს ცოტა არ იყოს კომიკური ელფერი ექნებოდა. საფრანგეთის რევოლიუციის დროს ბურჟუაზია ჯერ კიდევ ახალგაზრდა იყო. მასში ჯერ კიდევ მძლავრი ინსტიქტები და გამოურკვეველი გრძნობები სჭარბობდა: მის იდეალებს სიახლის ბრწყინვალება ჰქონდა. მას შემდეგ ბურჟუაზია მომწიფდა, ალაგ ალაგ გაჰადარავდა კიდეც: მის ფანტაზიას სოციალისტური რევოლიუციის მოჩვენებები ესტუმრნენ. მის ბელადებს აღარ შეუძლიანთ დანტონივით გულუბრყვილოდ და დანდობილად აღიარონ: „ყოველი საკუთრება, ტერიტორიული იქნება ის თუ ინდუსტრიული, სამუდამოდ უნდა შენარჩუნებულ იქმნას“. თვით ბურჟუაზიულმა მეცნიერებამ უცილობლად დაამტკიცა, რომ მუდმივი არაფერია დედამიწის ზურგზე.

მაგრამ რუსეთის რევოლუციაში შეკვეცილია არა მარტო ბურჟუაზიის, არამედ მუშათა კლასის აღფრთოვანებაც. ამ უკანასკნელს წინანდებურად აღარ სწამს, რომ ბურჟუაზიული რევოლუცია მას თავისუფლებას, ძმობას და თ. ნასწორობას მოუტანს. ის მონაწილეობას იღებს ბურჟუაზიულ რევოლუციაში და ამასთანავე სოციალისტური რევოლუციისთვის ოცნებობს. დღევანდელი ბრძოლა მისთვის უფრო ვალდებულებაა, ვიდრე სიამოვნება. დემოკრატიული რესპუბლიკა მხოლოდ ერთი საფეხურია, რომელიც ასე თუ ისე უნდა განვლოთ: ოცნებას არ შეუძლია ამ საფეხურებზე შეჩერება.

საფრანგეთის რევოლუციაში ბევრი რამ უშუალო იყო და მოიულოდნელი. ყოვლად შეუძლებელი იყო რევოლუციის მსვლელობის წარმოდგენა 1889 წლის მაისში, როცა გენერალური შტატები შეიკრიბა, ან ივნისში, როცა მესამე წოდების წარმომადგენლებმა ფიცი დასდეს ბურთის სათამაშო ზალაში. დღეს თითქო ყველაფერი წინასწარ განსაზღვრულია: ჩვენ გვრწამს, რომ დროებითი მთავრობა დამფუძნებელს კრებას მოიწვევს, ხოლო დამფუძნებელი კრება დემოკრატიულ რესპუბლიკას დაამყარებს. აგრარული საკითხი, სოციალური პრობლემები რაციონალურად შემუშავებული პროგრამების მიხედვით უნდა გადასწყდეს. შემდეგ მოსალოდნელია კონტრ-რევოლუცია, ან რეაქცია: ამას გვასწავლის გამოცდილება და ისტორიის გაკვეთილი.

რუსეთის რევოლუცია ყველაზე ფხიზელი რევოლუციაა, რომელიც ოდესმე კაცობრიობას უნახავს. ცივი ანალიზი, პოლიტიკური წინდახედულება სჭარბობს ინტუიციასა და შემოქმედებას, ადამიანები იკრიბებიან და რეზოლუციებს სწერენ; სხვები კონტრ-რეზოლიუციებით უპასუხებენ. რევოლუციურ ორგანიზაციებს, რევოლუციურ პარტიებს ჭკუადამჯდარი, გამობრძმედილი მოღვაწეები მეთაურობენ. დღეს სიმწიფე ისეთივე უპირატესობაა, როგორიც საფრანგეთის რევოლუციაში ახალგაზრდობა იყო. რობესპიერი 36 წლის იყო, როცა გილიოტინაზე ავიდა, დანტონი 35 წლისა, სენჟიუსტი 27 წლისა. გენერალი ჰოში 28 წლისა მოკვდა, გენერალი მარსი 27 წლისა. ამ ადამიანებმა მოასწრეს თავისი როლის დამთავრება და იმ იმედით წავიდნენ, რომ მათი სახელი დარჩებოდა ისტორიის პანთეონში.

მაგრამ ყველაზე დამახასიათებელი ის არის, რომ ფრანგ რევოლუციონერებს ხელში მუხის ფოთოლი ეჭირათ კამილ დემულენის მსგავსად. რუსის რევოლუციონერებს კი მარქსისა და მიხაილოვსკის თხზულებები უჭირავთ. ეს კი მძიმე ტვირთია, დიდტანიანი წიგნები.

**გერონტი ქიქოძე.**

# რევოლუცია

## დეპეშები

**საფრანგეთის მინისტრი ტომა მოსკოვში.**

**მოსკოვი.** მაისის 8. საფრანგეთის მინისტრმა ტომამ მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატთა კრება ინახულა და სიტყვა წარმოსთქვა. იგი მოუწოდებს რუსეთის რევოლიუციონურ არმიას თავისუფლების დაცვისთვის გერმანეთის მილიტარიზმისაგან. შემდეგ წმ. ეკატერინეს სასწავლებელში ფრანგთა ახალშენმა ოვაცია გაუმართა, შემდეგ ინახულა კონცერტი, რის შემდეგაც ებრაელთა ყრილობაზე დიდს თეატრში შესანიშნავი სიტყვა წარმოსთქვა.

**რესპუბლიკანურ გაზეთის შეჩერება.**

**ენისეისკი.** მაისის 8. ადგილობრივ კომენდანტმა რესპუბლიკანური გაზეთი „მომენტის ხმა“ შეაჩერა.

**ძალადობა.**

**გომელი.** მაისის 8. მაზრაში გლეხები ძალით ეპატრონებიან მემამულეთა მიწებს. მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატთა საბჭომ შესაფერი ზომები მიიღო.

**სრულიად რუსეთის ჯარისკაცთა და მუშათა საბჭოების ყრილობა.**

**პეტროგრადი.** მაისის 8. მუშათა, ჯარისკაცთა დეპუტატების ყველა საბჭოებისა და არმიათა კომიტეტებისადმი. პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭომ დაადგინა პირველი თიბათვისთვის გამართოს საზოგადო ყრილობა მთელი რუსეთის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების წარმომადგენლებისა. დელეგატების გამოგზავნა შემდეგის წესით იქნება: 25 ათასიდან 50,000 კაცამდე ჰგზავნიან ორს დელეგატს, 50,000—75,000—სამს, 75,000—100,000—ოთხს, 100,000 — 150,000 — ხუთს, 150,000 — 200,000 ექვსს, ხოლო 200,000 ზემოდ—8 კაცს. არჩევნების ორგანიზაცია მიენდობათ არმიათა კომიტეტებს. თვითეული არმია ყრილობაზე ჰგზავნის არა უმეტეს 8 კაცისა. შავი ზღვისა და ბალტიის ზღვის ფლოტებს ეძლევათ მუშათა და ჯარისკაცთა თანასწორი უფლებანი. ყრილობაზე განხილული იქნება შემდეგი საკითხები: 1) ომის საკითხი, თავდაცვისა, ბრძოლისა და ზავის საკითხები. 2) რევოლუციური დემოკრატია და მთავრობა. 3) სამზადისი დამფუძნებელი კრების მოსაწვევად. 4) ეროვნული საკითხი რუსეთში. 5) მიწის საკითხი, გლეხთა ცხოვრების საკითხები. 6) მუშათა საკითხები. 7) ჯარისკაცთა ცხოვრების საკითხები. 8) შრომის ორგანიზაცია, ტრანსპორტების განაწილება. 9) სურსათის საკითხი. 10) ფინანსიური პოლიტიკის საკითხები. 11) ადგილობრივი თვითმართველობანი. 12) ორგანიზაციული საკითხები პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს წევრების ასარჩევად და სხვა.

მინისტრმა დ. ი. შახოვსკიმ სთქვა: „ახალი წესწყობილების შემოღებისთანავე საჭიროდ ვსთვლიდი უთუოდ სოციალისტურ ჯგუფებსაც მიეღოთ მონაწილეობა მართვა-გამგეობაში, რათა სახელმწიფოს აღშენებაში ყველას თანაბრად შეეტანა წვლილი თავისი შრომის უნარისა. მესმის, რატომ უძნელდებოდათ სოციალისტებს მთავრობის უღელში შებმა. ასეთი გარდაწყვეტილება თავისთავად ჰგულისხმობს რამდენად მწვავე მდგომარეობა შექმნილია რუსეთში, ანუ როგორის გულდასმით ჰსურს საზოგადოებათა ყოველს დარგს მონაწილეობა მიიღოს ცხადად საქმის მოწესრიგებაში. უდიდესი ჩვენი დანიშნულება ისაა, რომ შრომა ისე მოწესრიგდეს, რომ მისი ნაყოფიერება მეტად თვალსაჩინო იყოს“.

**ამერიკელი მეცნიერი რუსეთში.**

**ნიუ-იორკი.** მაისის 1. ვისკონსინსის უნივერსიტეტის პროფესორი ედუარდ როსსი, დიდი მცოდნე სახალხო მოძრაობისა, რუსეთში მოდის, როგორც სოციალურ მეცნიერებათა ამერიკის ინსტიტუტის სპეციალი წარმომადგენელი.

# ახალი მთავრობა

**მინისტრების ნათქვამი.**

**პეტროგრადი.** მაისის 7. ჟურნალისტებთან ლაპარაკში შრომის მინისტრმა **სკობელევმა** სთქვა: სამინისტროს მუშაობა სამინისტროს მოწყობით უნდა დაიწყოს, რადგანაც მისი საქმე მხოლოდ რევოლუციის შემდეგ გაჩნდაო. სამინისტროს პირველი მიზანი ის უნდა იყოს, რომ მუშების ბრძოლა ეკონომიურ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ძალის ნაკლები დახარჯვით სწარმოებდეს და არც ქვეყნის საწარმოვო ძალა შესუსტდესო. მეორე მიზანი კი წარმოების სხვა და სხვა დარგებში მშრომელთა მიზანშეწყობილი განაწილება უნდა იყოსო. ამ საკითხში შრომის სამინისტროს მოქმედება ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს მოქმედების საზღვრებს უახლოვდება, რადგანაც საეკონომიო პოლიტიკის რეგულიზაციასთან არის დაკავშირებული. კონკრეტი საშუალებანი: იმპერიისათვის საყოველთაო კანონი 8 საათის სამუშაო დღისა და კერძოდ კი სასოფლო შრომის რეგულიზაციაა. უნდა შეიქმნეს გარანტიები კოალიციის, გაფიცვის და სხვათა სრული თავისუფლებისა; უნდა გაადვილდეს შრომის ბირჟების, შემთანხმებელ კამერების, საპროფესიო კავშირების, და სხვათა დაწესებულებების შექმნა; შრომის ინსპექცია საერთოდ, და ქალთა შრომის ინსპექცია კერძოდ, ახალ საფუძვლებზე უნდა მოეწყოს. ფართო, ყოველმხრივი სასოციალო კანონმდებლობა, მუშათა ყოველგვარი დაზღვევა, მეტადრე უმუშევრობის დაზღვევა, შრომის ყველა დარგში; დაუყოვნებლივ უნდა იქნეს მიღებული ზომები მუშათა ქონებრივი უზრუნველყოფისა იმ შემთხვევაში, საცა კერძო წარმოებანი შეჩერდებიან; შრომის ყოველმხრივი დაცვა, მეტადრე ბავშვთა და ქალთა შრომისა; წარმოების დემობილიზაციის შექმნა, სესხის ახალ ხელ-შეკრულების შემუშავება და სხვა. ეს პროგრამა სრული არ არის და მუშაობის დროს ბევრი ისეთი საკითხი გაჩნდება, რაც ახალ საშუალებებს მოითხოვსო.

სახელმწიფო პატრონობის მინისტრმა შახოვსკოიმ ჟურნალისტებს უთხრა: რევოლიუციის დასაწყისშივე უსაჭიროესად ვთვლიდი, რომ მთავრობაში მონაწილეობა სოციალისტურ პარტიებსაც ჰქონოდათ, მხოლოდ ხალხის ყველა წრის მონაწილეობა მართვა-გამგეობაში უზრუნველ ჰყოფს ახალ ცხოვრების შექმნას. ეს შექმნა ყველა პარტიის პასუხისმგებლობით უნდა მოხდესო. კარგად მესმის, რომ სოციალისტურ პარტიებისათვის მთავრობაში მონაწილეობა ძნელი იყო. მათი მონაწილეობა მთავრობაში ნათლად გვიმტკიცებს, თუ რამდენად სერიოზულია სახელმწიფოს მდგომარეობა და ეს რა კარგად ესმის ყველას. იმ ახალ სამინისტროს შესახებ, რომელიც მე მაბარია, და რომელიც ჯერ შექმნილი არ არის, უნდა ვსთქვა, რომ მისი უპირველესი მიზანი წარმოების გაძლიერება უნდა იყოსო.

**რომის წრეები და რუსეთის ახალი სამინისტრო.**

**რომი.** მაისის 7. რომის საზოგადოებრივი და პოლიტიკური წრეები დიდი თანაგრძნობით შეხვდნენ რუსეთის ახალ სამინისტროს დაარსებას და კერენსკის მოწოდებას. კერენსკი ძალიან საიმედო პირად მიაჩნიათ.

# ეროვნული საკითხი

**უკრაინა.**

პეტროგრადში ამ დღეებში დაარსდა უკრაინულ საზოგადოებრივ ორგანიზაციათა და პოლიტიკურ პარტიების წარმომადგენელთა—უკრაინული ნაციონალი საბჭო. იგი შესდგება 5 კაცისაგან და მინდობილი აქვს დროებით მთავრობასთან ერთად უკრაინის საქმეების მოწესრიგება.

კომიტეტმა დროებით მთავრობას თხოვნით მიჰმართა, რათა კვლავ განახლებულ იქმნეს ადგილობრივი ადმინისტრაცია, დაინიშნოს კომისარებად და სამოსწავლო ოლქის მზრუნველად ისეთი პირნი, რომელნიც ადგილობრივ ცხოვრების პირობებს, ენას და ეკონომიურ — სოციალ — ნაციონალურ პირობებს იცნობენ. კომიტეტი საჭიროდ ჰსცნობს, რომ უკრაინის საზოგადოების წარმომადგენლებმა მონაწილეობა იღებდნენ დროებით მთავრობის მიერ დაფუძნებულ კომისიებში, საზოგადო ხასიათის კითხვების გამოსარკვევად, აგრეთვე იმ კომისიაში რომელმაც დამფუძნებელ კრების საარჩევნო კანონი უნდა შეადგინოს.

**გაზეთებიდან.**

**სომეხთა ნაციონალური ყრილობა.**

საპარტიათაშორისო კრებამ, რომელსაც სომეხთა პირველ ყრილობის ორგანიზაცია ჰქონდა მინდობილი, „მშაკის“ სიტყვით შემდეგი პროგრამა შეიმუშავა: ათი-ათასი მცხოვრები ერთს დელეგატს ირჩევს. რადგანაც რუსეთის სომხობა 1.800.000-ა ამისთვის დელეგატიც 180—200 იქნება.

თვითეულ მაზრაში თუ ამომრჩეველ ოლქში ამომრჩევლობითი კომისია ანუ საბჭონი დაარსდება (ყველა წარმომადგენელი თანასწორად), ამ საბჭოებმა თავის ოლქებში სწორე და სამართლიანი არჩევნები უნდა მოახდინონ. სრულიად რუსეთის სომეხთა დელეგატების ამორჩევა თიბათვის 18 ს მოჰხდება, ხოლო ყრილობის დაწყებას მკათათვის 2 აპირებენ. რაც შეეხება ყრილობის ადგილს, მართალია ამასწინად თბილისში მომხდარ კრებამ ერევანი ამოირჩია, მაგრამ ბოლო ხანებში საპარტიათაშორისო კრებამ საქმის აწონ-დაწონის შემდეგ უპირატესობა ქ. თბილისს მიანიჭა. საბჭო შეეკითხება აგრედვე სხვა და სხვა ქალაქებს, რის შემდეგაც საკითხი სრულიად გადაწყდება.

# ომი და ზავი

## დეპეშები

**კანადის ლაშქრის შექმნა**

**ლონდონი.** მაისის 6. ოტტავიდან იუწყებიან: პრემიერ მინისტრმა მორდენმა კანადის თემთა პალატაში სთქვა, რომ საყოველთაო სამხედრო ბეგრის შემოსაღებად ბილლს მალე წარმოგიდგენთო. დროა ასპარეზზე მყოფ მეომართ კანადის ჯარი მივაშველოთ, ეს ჯარი ბრიტანეთის საუკეთესო ჯარად ითვლებაო. გაწვეულთა რიცხვი 50.000-ზე ნაკლები არ უნდა იყოს, შეიძლება 100.000-ცაო. ოპოზიციის წარმომადგენელნი სერ ილფრიდ ლორიე მინისტრს დაჰპირდა, იმედი მაქვს ოპოზიცია ბილლს მხარს მისცემსო.

**გემების დაღუპვა.**

**სტოკჰოლმი.** მაისის 7. დეპეშათა შვედური სააგენტო იტყობინება: ამ დღეებში შვეციიდან ინგლისში მიმავალი სამი გემი დაღუპესო: „ვესტენლანდი“, „ვიკენი“ და „ასპენი“. დაღუპულა ათი კაცი.

**პარიზი.** მაისის 6. გერმანელები ისპანიის გემს „პატრიციას“ დაეცნენ და ძალიან დააზიანეს. ისპანიის მთავრობა იმის ძიებაშია, თუ მის ზღვებში ხომ არ მოხდა ეს ამბავი.

**მთავარ-სარდლის კორნილოვის წასვლა ასპარეზზე.**

**პეტროგრადი.** მაისის 8. გუშინ საღამოთი ლაშქრის მთავარ-სარდალი კორნილოვი ასპარეზზე წავიდა. კორნილოვი წინედ პეტროგრადის სამხედრო ოლქის მთავარსარდალი იყო.

**საყოველთაო აღწერა შეერთებულ შტატებში და ვილსონის პროკლამაცია.**

**ლონდონი.** მაისის 6. ვაშინგტონიდან იტყობინებიან: ვილსონმა შეერთებულ შტატების საყოველთაო აღწერა პროკლამაციით მაისის 23 სთვის დანიშნაო. პროკლამაციაში ნათქვამია; ყველა ერი შეიარაღებულია. ვინც შინ დარჩა, ასპარეზის ზურგთ უკან და ქარხნებში, ისიც ლაშქრის ნაწილს შეადგენსო. ჩვენც ყველა უნდა შევერთდეთ და ომისთვის ჩრდილო-ამერიკის ხალხმა ყოველი ღონე უნდა ვიღონოთ. ხალხი მთლად უნდა შეუერთდეს საერთო ასპარეზს, საერთო მტრის წინააღმდეგო. სამშობლოს ყველა შვილის თავი უჭირს. თითო ჩვენგანი იქ უნდა იყოს, სადაც უფრო უკეთესად მიეშველება საერთო საქმესაო. ამისათვის კონგრესმა ხალხის ძალთა განაწილების ნუსხა უნდა შეიმუშავოსო.

**გემის დაღუპვა.**

**პარიზი.** მაისის 7. ოფიციალი ცნობით, გემი „კოლბერტი“ აპრილის 17 დილით ხმელთაშუა ზღვაში წყალქვეშამ დაჰღუპა. გემზე რამდენიმე მგზავრი და სამხედრო პირი ყოფილა; დაიღუპა 51 კაცი, მათ შორის კომელის ფლოტის კომენდანტი, დაიღუპა გემის უფროსი. 30 აპრილის 1916 წლის ბრძანებით, როცა მტერი პირველად მის გემს დაეცა, ლეიტენანტი საპატიო ლეგიონის ორდენით იქმნა დაჯილდოვებული.

**გერმანელები უკან დასახევად ემზადებიან.**

**პარიზი.** მაისის 7. ჰავასის სააგენტოს ცნობა: დამამდვილებითი ცნობებია მიღებული, რომ გერმანელები ჰინდენბურგის ხაზის უკან ყოველისფერს ანადგურებენ, სწვავენ, გზებს აფუჭებენ, ხიდებს ანგრევენ, თანაც წყალს უგდებენ და მთელს მიდამოს ალეკინებენ. ეს ამბავი ალბად იმას ჰნიშნავს, რომ გერმანელთ გარდაწყვეტილი აქვთ კიდევ დაიხიონ უკან.

**გუშინ დეპეშები არ მოსულა. როგორც სააგენტოს თბილისის განყოფილება იუწყება მაისის 8 ს, საღამოს 9 საათზე, დონის როსტოვის ზემოდ ტელეგრაფი გაფუჭებულია.**

## „საქართველოს" დეპეშა

**კათოლიკეთა საეპისკოპოსოს აღდგენის გამო.**

**კავკასიის მოქმედი ჯარი.** აპრილის 8. მეორე ლაზარეთსა და თურქესტანის მეოთხე დივიზიაში მოსამსახურენი მიესალმებიან თბილისის საეპისკოპოსო კათედრის აღდგენას და მის კანდიდატების დანიშვნას, ტიბიკონის ქართულ ენაზე შემოღებას და სამღვდელოების განთავისუფლებას ტერ-აბრამიანცის გავლენისაგან. გისურვებთ საქმის აყვავებას.

**ხტეფანე გოშალაშვილი.**

# ქრონიკა

## კავკასია

**აქციზის მოხელეთა ყრილობა ერევანში.** მაისის ორს გაიმართა ერევნის გუბერნიის და ყარსის ოლქის აქციზის მოხელეთა ყრილობა. ყრილობის საგანი იყო მოხელეთა მდგომარეობის გამორკვევა. თავმჯდომარედ აირჩიეს მ. პ. სულხანიშვილი, რომელსაც ყრილობამ კეთილ სამსახურისათვის მადლობა გადაუხადა. აირჩიეს კომიტეტი—ხუთი კაცი და ორი დელეგატი თბილისში გამოსაგზავნად.

**მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატთა ყრილობა.** 20 მაისისთვის თბილისში განზრახულია კავკასიის მუშათა და ჯარ. დეპ. საოლქო ყრილობა. ყრილობის ორგანიზაციას საფუძვლად შემდეგი დებულებანი აქვს მიღებული: ა) კავკასიის საოლქო ყრილობაში მონაწილეობენ კავკასიელ და ჩრდ.-კავკ. მუშათა და ჯ. დეპ. საბჭონი; ბ) გლეხთა არჩევნები: კავკასიის გუბერნიებში და ოლქებში, აგრეთვე ბათუმის ოლ. ამოირჩევა სარაიონო საბჭოთაგან. ქუთაისის გუბ. თვითეული სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტი დელეგატად ოთხ გლეხს ამოირჩევს.

**მომრიგებელ შუამავალთა თანამდებობის გაუქმება.** მუშათა დეპუტატების საბჭოსთან არსებულმა საგუბერნიო სასოფლო კომისიამ გადასწყვიტა სავსებით გაუქმდეს მომრიგებელ შუამავალთა ინსტიტუტი. მათი მოვალეობის შესრულება ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტებს დაეკისრება.

**რუს გადმოსახლებულთა ყრილობა.** მაისის 7, განჯაში გადმოსახლებულ რუსთა (განჯის გუბ.) ყრილობა გაიმართა. დელეგატების რიცხვი 120 იყო. არეშის მაზრიდან—6 დელეგატი, განჯის—42, ნუხის—12, ჯევანშირის—6, ზონგეზურის—2, ყაზახის—18, ყარიაგინის—2 და შუშის—23. ყრილობაზე მოწვეულნი არიან სხვა და სხვა დაწესებულებათა, ორგანიზაციათა და პოლიტიკურ პარტიათა წარმომადგენლები.

## საქართველო

**ქართველი სენატორები.** როგორც პეტროგრადიდან გვატყობინებენ,—ზ. ავალიშვილი, სიდ. ერისთავი და ლ. ანდრონიკაშვილი სენატის წევრებათ დაუნიშნავთ.

**ქართველ მასწავლებელთა კავშირი.** ქართველ მასწავლებელთა დელეგატების ყრილობამ ყველა სამუშაო დაამთავრა. პროექტი კავშირის წესდებისა სავსებით განახლდა და ცოტაოდენი ცვლილებით დაამტკიცა. უკანასკნელი კრება იყო სამშაბათს, მაისის 9-ს, ეფ. თაყაიშვილის თავმჯდომარეობით. ამ დღეს მოხდა არჩევნები; სხვა და სხვა თანამდებობაზე მრავალი საპატიო პირნი იქმნენ ბარათებით დასახელებულნი, მაგრამ ბევრმა მათგანმა გადაჭრილი უარი განუცხადა მოუცლელობის გამო. ბოლოს, როგორც იყო, კრებამ დიდის ხანწნის შემდეგ დაიყოლია და გამგეობაში წევრებად შევიდნენ: ქ-ნნი ა. ახალშენიშვილი, ნინო ჩაგუნავა და თამარ ლომაური, ბ-ნნი ლ. ჩიმაკაძე, დ. პარკაძე, ს. გორგაძე და რ. ხუციშვილი; გამგეობის წევრთა კანდიდატებად—პ. ქავთარაძე და ს. მამალაძე; სარევიზიო კომისის წევრებად—მ. გიორგაძე, პ. აბულაძე და ს. ავალიშვილი. ს. მამალაძის წინადადების თანახმად, კრებამ დაადგინა მადლობა გამოუცხადოს სახალხო მასწავლებელთა კავშირს, რომელიც თავისი დელეგატების პირით მიესალმა და მუშაობა უ ერვა ქართველ მასწავლებელ ყრილობას. აგრეთვე კრებამ მადლობა გამოუცხადა კავშირის წესდების შემდგენთ და კრების თავმჯდომარეთ.

**„საფირონი".** ს. შანშიაშვილის და გ. ლეონიძის რედაქტორობით ამ თვის ბოლოში გამოვა სამხატვრო-სალიტერატურო კრებული „საფირონი". კრებულში მონაწილეობენ საუკეთესო ძალები.

**ვ. გუნიას იუბილე.** საიუბილეო კომიტეტის სახელზე ყოველ დღე დიდძალი დეპეშები მოდის ჩვენის ქვეყნის სხვა და სხვა კუთხეებიდან და რუსეთის მრავალ ქალაქებიდან; ბევრსა გზავნიან აგრეთვე შემოწირულებას იუბილიარის ფონდის გასაძლიერებლად.

საიუბილეო კომიტეტს აზრად აქვს ცალკე ბროშიურად დაბეჭდოს ყველა მილოცვები, ადრესები და ლექსები სხვა და სხვა დაწესებულებათა, ორგანიზაციათა და კერძო პირთა მიერ წარმოგზავნილნი. ამავე ბროშურაში მოთავსებულ იქნება სრული სია შემომწირველთა და მათ მიერ გაღებული ფულის რაოდენობაც.

ქუთაისის შემდეგ, სადაც შაბათს, 13 მაისს არის განზრახული ვ. გუნიას საზეიმო პატივისცემა, იუბილარს გაიწვევენ ბათუმში, სადაც უკვე საიუბილეო კომისია შემდგარა, რომელსაც საზოგადოებისაგან დავალებული აქვს ვ. გუნიას საჯარო პატივისცემა დროთა შესაფერის ელფერით და ზეიმით მოაწყონ.

ბაქოში ვ. გუნიას ეპატიჟებიან მაისის მეორე ნახევარში. ქართველობა აქაც მზადებაშია, რათა ეს ეროვნულ-კულტურული ზეიმი შესაფერისად მოაწყოს და მეზობელ ხალხთა შორის ერთგვარი სოლიდარობის გრძნობა განამტკიცოს.

## თბილისი.

**„სახალხო ფურცლის"** ქრონიკაში მოთავსებულ ცნობის შესახებ: „სპ. კედიას, როგორც დანამდვილებით გავიგეთ, თავი დაუნებებია „საქართველოს" რედაქციისათვისო" „სახალხო ფურცელმა" სპ. კედიასაგან დეპეშა მიიღო, რომლის პირი მიიღო ჩვენმა რედაქციამაც: „თქვენი გაზეთის 7 მაისის ნომერში მოთავსებულია ცნობა, ვითომც მე „საქართველოს" რედაქციას თავი დავანებე. რედაქცია შეცდომაშია შეყვანილი. ცნობა მოკლებულია ყოველ საფუძველს. რედაქციისა და კალმის მუშაკისათვის გულსატკენია თქვენი პატივცემულ რედაქციის გაუფრთხილებლობა. ქ. ზუგდიდი. 8 მაისი. ს. კედია".

**სხდომა.** მოვაგონებთ მკითხველებს, რომ დღეს, მაისის 11-ს, ახალი კლუბის საზაფხულო დარბაზში გაიმართება საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საჯარო სხდომა. პავლე ინგოროყვა წაიკითხავს მოხსენებას: „როგორ უნდა გადაიჭრას ეროვნული საკითხი კავკასიაში". სხდომაზე დასწრება გარეშეებსაც შეუძლიანთ. დასაწყისი სხდომისა დილის 11 საათზე.

**ბინების საკითხი და მუშათა საბჭო.** ქალაქის აღმასრულებელმა კომიტეტმა, მუშათა დეპუტატების საბჭოს წინადადების თანახმად დაადგინა შეაჩეროს სასამართლოს დადგენილებათა სისრულეში მოყვანა შესახებ მობინადრეთა განდევნისა ბინებიდან, ვინაიდან ამ საგნის შესახებ, სავალდებულო დადგენილებანი მზადდება და ჩქარა შევა ძალაში.

**ნაძალადევის სარაიონო კომიტეტი.** დღეს, ხუთშაბათს, საღამოს 6 საათზე, ნაძალადევის საეკლესიო სკოლაში გაიმართება ამ უბანში მცხოვრებ ჩვენი პარტიის წევრთა და თანამგრძნობთა კრება. იქნება პარტიულ-პროგრამული მოხსენება და გაირჩევა საკითხები შესახებ პარტიის კონფერენციისა, წევრთა დამოკიდებულებისა და მუშაობისა. მოხდება აგრეთვე კონფერენციისთვის დელეგატების არჩევა,—და ამისათვის ვთხოვთ თანამგრძნობ ქალთა და კაცთ მოვიდნენ სწორედ აღნიშნულ დროს.

**თბილისის** ქალაქის თვითმართველობა აცხადებს, რომ ამიერიდან ტრამვაის წინა და უკანა ბაქანზე დგომა ჯარისკაცთათვის 3 კაპ. ეღირება. ადგილების საერთო რიცხვი კი ისევ ძველებური იქნება.

**ქაღალდების დაკარგვა.** თბილისის მუშათა დეპუტატების საბჭოს მდივანმა გ. ცინცაძემ მაისის 8-ს რკინის გზის სადგურზე თბილისში დაჰკარგა 500 მანეთი ფული და 500 მანეთის საბუთის ქაღალდები. მპოვნელს სთხოვს დაუბრუნოს მას მისი საკუთრება შემდეგი მისამართით: სასახლე, მუშათა დეპუტატების საბჭო.

**სამკურნალო ადგილების მომწყობ-ხელისშემწყობთა ყრილობაზე,** მაისის 8-ს, რამდენიმე მოხსენება იქმნა წაკითხული. სხვათა შორის, ქიმულეთის მნიშვნელობის შესახებ წაიკითხეს მოხსენებანი ცეტლინმა, სამოილოვისამ და ექ. როზენბაუმმა, სოხუმის შესახებ—თავ. გელოვანმა და ექ. გრიგოლიამ, რაჭის შესახებ—ექ. ლეჟავამ. დღეს, მაისის 11-ს, კიდევ რამდენიმე მოხსენებას წაიკითხავენ და ყრილობა დაიშლება.

**მოკლული კაცის გვამი.** ფუნიკულერის ზევითა სადგურის მახლობლად იპოვნეს მოკლული კაცის გვამი, რომელსაც რამდენიმე ჭრილობა აქვს ხანჯლით მუცელსა და ზურგში, თავი გახეთქილი აქვს ბევრი ცემისგან. მოკლული, როგორც ამბობენ, შუა ხნის კაცია, ეროვნებით თურქი. მკვლელები ჯერ არ აღმოუჩენიათ.

**ათაბეგოვის გადადგომა.** ქალაქის გამგეობის წევრი მ. ნ. ათაბეგოვი თანამდებობას თავს ანებებს. ამის შესახებ გამგეობაში განცხადება უკვე შეიტანა.

## პროვინცია

**პარტიის წევრთა ყრილობა ჭიათურაში.** ჭიათურაში მაისის 14 დილით 12 საათზე დანიშნულია ეროვნული დემოკრატიული პარტიის წევრთა და თანამშრომელთა კრება. ამ კრებაზე, საპროგრამო და სატაქტიკო საკითხების შესახებ მოხსენებას წაიკითხავენ მთავარ კომიტეტის წარმომადგენლები.

**შავი ქვის მუშათა მოთხოვნილებანი.** გამოცხადებულ იქნა შავი ქვის მუშათა მოთხოვნილებანი, რომელნიც ჯერ-ჯერობით დაკმაყოფილებულნი ვერ იქმნენ. როგორც გადმოგვცემენ, მუშებმა უკვე გამოაცხადეს გაფიცვა.

**თელავი.** მაისის 2 ბაზარში მოვაჭრე დედაკაცები გაიფიცნენ.

**თელაველი ვაჭრები და ნიხრი.** რა წამს ახალი ნიხრი გაჩნდება ხოლმე, 5—6 თვეში ერთხელ, თელაველი ვაჭრები მაშინვე საქონელს ან სულ მიმალავენ ან უვარგისს გამოაჩენენ ხოლმე. მაგ. პურის ნიხრი 13 კაპეკია, მაგრამ პური კი მჭად-ნარევია და მწარე. ილაჯ-გაწყვეტილი ხალხი სოფლიდან ჩამოსულ ფეხზე მოვაჭრე დედაკაცებს დაერევა ხოლმე და იმათ სტაცებს ნიხრის კვალობაზე სანოვაგეს. ასე მოხდა მაგ. მაისის 1. დედაკაცებმა, ვინც მოასწრო, თავისი საქონელი გააპარა და უკანვე წაიღო სოფელში.

**უკვალოდ დაკარგულნი.** ჯარის კაცი რაფიელ ნიკოლოზის ძე ბაქრაძე მსახურობდა კავკასიის მომქმედ ჯარში ახულგინსკის პოლკში, რომლისაგანაც ოთხი თვეა არავითარი ცნობა აღარ მოდის. თუ ვინმემ რამე იცოდეს მის შესახებ, ვთხოვთ შემდეგის მისამართით გვაცნობონ სოფ. ვარდის უბანში (თელავის მაზრაში) კიმოთე ნიკოლოზის ძე ბაქრაძეს.

**ქაიხოსრო** მახვილაძე უმორჩილესად სთხოვს ყველას, თუ ვინმემ რამე იცის დანამდვილებით მისი შვილის ეფრემ მახვილაძის შესახებ, რომელიც ქართულ მსროლელთა პოლკის მე-13-ე როტაში მსახურებდა—შემდეგი მისამართით შეატყობინოს: კახეთის რკინის გზის დეპო. ვანო ცალქალამანიძეს.

— ჯარისკაცი ილია მიხეილის ძე არჩუაძე მსახურებდა კავკასიის არმიაში, მე-2 კავკასიის მომუშავე ბატალიონში, მე-4 როტაში. ეს 5 თვეა, მისი არა ისმის რა. თუ ვინმემ იცის რამე მის შესახებ, აცნობონ თბილისში, უდელის ქუჩაზე № 5, ნინო არჩუაძეს.

**სათადარიგო ჯარის-კაცთა მიწების მოხვნა.** საერობო აგრონომი რევაზ გედევანიშვილი „დროჟინის" შემწეობით შეუდგა სათადარიგო ჯარისკაცთა მიწების ხვნას. მისივე წყალობით, სიმშილის თავიდან ასაცდენად მოიხნა დატოვებული მიწები.

**დაკარგული ჯარის კაცი.** ჯარის კაცი იოსებ ხვედელიძე მსახურებდა 6 გორნი ბატარეიაში 20 არტილერიის ბრიგადაში აზრუმის მხარეს. 28 მარტში ავადმყოფობის გამო ლაზარეთში გაგზავნეს და მას შემდეგ მისმა დედმამამ არაფერი არა იცისრა მისი, ვთხოვთ თუ ვინმემ იცის რამე მის შესახებ გვაცნობოს ამ მისამართით: თბილისი, მასტერსკოში ვაგონი ცეხი ივანე ხვედელაძეს.

**ს. სვირის აკლება.** ქუთ. აღმასრულებელ კომიტეტს მაზრის კომისარისაგან ცნობა მოუვიდა, რომ აპრილის 30-ს რკინის გზით მიმავალმა ყაზახთა ეშელონმა ააწიოკა სვირის მცხოვრებნი და სავაჭროები აიკლო. მაზრის კომისარის ცნობით ყაზახები მე-16 და 17 სათადარიგო პოლკებისა იყვნენ. აღმასრულებელმა კომიტეტმა მე-16 და 17 პოლკების უფროსებს საჩივარი გაუგზავნა.

**ამ თვის** ორში ს. კასპსა და გარემო სოფლებში, დღისით, საათის ხუთზედ, კაკლის ტოლა სეტყვა მოვიდა, სეტყვამ 15 წამს გასტანა. ხეხილი, ვაზი, ბოსტნეულობა და პურნაბული მიწყვ-მოწყვა. კარგი, რომ ქარი ჰქროდა, თორემ სულ ერთიანად გაანადგურებდა მოსავალს. ეხლა კი სიმშილიცაა მოსალოდნელი.

**ბახმაროს აგარაკი.** რედაქციამ ოდესიდან პრივატ-დოცენტის მოსეშვილისაგან დეპეშა მიიღო. პრივატ-დოცენტი გვთხოვს სააგარაკო ადგილების მომწყობ ყრილობის ყურადღება მივაქციოთ აგარაკ ბახმაროს და მის საჭიროებებს. დეპეშა შემდეგ ნომერში იქნება დაბეჭდილი.

**კახეთის კავშირის წლიური კრება.** ამ დღეებში თელავში კახეთის კავშირის წლიური საანგარიშო კრება იყო. არჩევნების დროს კავშირის თავმჯდომარე დავ. ლუკაშვილი გაამავეს და მის ადგილას ხატისკაცი ამოირჩიეს.

**შაქრის ფხვნილი თელავში.** მომხმარებელ საზოგადოებამ და ქალაქის თვითმართველობამ თითო ვაგონი შაქრის ფხვნილი მიიღეს.

**წელს ფოთის ხავაჟო გიმნაზია** დაასრულეს და მიიღეს სიმწიფის მოწმობა 17 ქართველმა და 1 ბერძენმა.

**მკვლელობა მატარებელში.** კვირას, მაისის 7, თელავიდან მომავალ მატარებელში სადგურ წინანდალში ერთმანეთს შეეჯახნენ ჯარის-კაცი ფირუზა კევლიშვილი და ჩაკვაძე. ჩაკვაძემ ბებუთი მოუღერა, მაგრამ კევლიშვილმა დაასწრო და ხანჯალი დაჰკრა მუცელში. ჩაკვაძე გურჯაანში გარდაიცვალა. მკვლელობის მიზეზი ის იყო, რომ ჩაკვაძეს კევლიშვილის ჯარში ყოფნის დროს მისი ცოლი შეუყვარებია და ოჯახიც ნივთიერად დაუზარალებია. ხალხი კევლიშვილს თანაუგრძნობს.

**ჩხენკელის აზრი ავტონომიაზე.** მაისის 3, ჩხენკელი სიღნაღში მოვიდა. მიტინგის შემდეგ კლუბის დარბაზში საუბარი გაიმართა ავტონომიის შესახებ. აქ, სხვათა შორის ერთმა გლეხმა სთხოვა, აეხსნა მისთვის ამ მოთხოვნილების მნიშვნელობა და მიზანშეწონილობა. ამ კითხვის შესახებ დეპუტატმა სთქვა, რომ თუმცა ტერიტორიალი ავტონომია სახელმწიფოებრივ ცხოვრების ერთი საუკეთესო ფორმათაგია, მაინც დამფუძნებელ კრებამდე უნდა მოვიცადოთო.

## გადმოხვეწილთა საქმე

გუშინ მოლაპარაკება იყო იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოეწყოს გამგეობა ომისაგან დაზარალებულთა და გადმოხვეწილთა დახმარების შესახებ. მოწვეულ იყო სასახლეში უმთავრეს ეროვნებათა წარმომადგენლები: 6 სომეხი, 6 თათარი და 3 ქართველი. გამოითქვა ორი აზრი. ერთი—რომ ეს საქმე შეეხება მხოლოდ სომხებს, თათრებს და ქართველებს ამ საქმეში ინტერესი არა აქვსთო. ბ. გ. გვაზავამ და შ. გოთუამ პრინციპიალურად დააყენეს კითხვა, რომ გადმოხვეწილთა და დაზარალებულთა დახმარება არ არის მარტო სომხების და თათრების საქმე. იგი სახელმწიფოებრივი ხასიათის საქმეა და შეეხება მთელს კავკასიას. ამიტომ ამ საქმის მართვა-გამგეობაში ქართველებიც თანასწორად უნდა იყვნენ წარმოდგენილიო. დიდი კამათის მერე კრებამ დაადგინა: დაარსებულ იქმნას კომიტეტი უმთავრეს ეროვნებათა წარმომადგენლებისაგან თანასწორად (5 რუსი, 5 ქართველი, 5 სომეხი და 5 თათარი) და იმას გადაეცემა მთელი საქმის მართვა-გამგეობა. ეს კომიტეტი ანკაირად შემდგარი იქნება ოცი ეროვნული წარმომადგენლებისაგან, დაემატება კიდევ სამი წარმომადგენელი თვითონ გადმოხვეწილთა (სულ იქნება 23 კაცი); იგი აირჩევს თავის პრეზიდიუმს, და ერთს თავმჯდომარეს. თითეული სექცია ამ კომიტეტისა იმუშავებს ავტონომიურად, მაგრამ ყოველი ხარჯთ-აღრიცხვა უნდა მიღებულ იქმნას მთელი კომიტეტის მიერო.

დღემდე ამ საქმეში დახარჯულა 25 მილიონამდე, და ქართველობას კი ამ ჯამიდან თითქმის ნამცეციც კი ვერ მიუღია.

## ქალაქის საბჭო

**მაისის 8.**

სანამ კრება გაიხსნებოდა, გამგეობის შემადგენლობას და ხმოსნებს ხანგრძლივი კერძო თათბირი ჰქონდათ. თათბირის საგანს შეადგენდა დროებითი მთავრობის განკარგულება, რომ ქალაქის თვითმართველობა დაუყონებლივ შეუდგეს ქალაქის საარჩევნო სიების დამზადებას საბჭოს არჩევნებისათვის. კერძო თათბირი ღამის 10 საათზე დასრულდა და შემდეგ კრება დაიწყო ქალაქის მოურავის ა. ხატისოვის თავმჯდომარეობით. თავმჯდომარემ კრებას დაწვრილებით გააცნო მთავრობის განკარგულება შესახებ იმისა, თუ რა წესით უნდა მოხდეს საქალაქო არჩევნები და არჩევნებში მონაწილეობის უფლება ვის აქვს. შემდეგ მან კრებას მოახსენა გამგეობის დადგენილება, რომელიც შემდეგს შეიცავს: ვინაიდან არჩევნებში აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ როგორც მამულის პატრონნი, აგრეთვე მუშები და ჯარის-კაცნიც, ამიტომ ყველა მათგანმა მონაწილეობა უნდა მიიღონ საარჩევნო სამზადისში. ხოლო ამისათვის კი საჭიროა ხუთ-ხუთი წარმომადგენელი აირჩიონ ქალაქის საბჭომ, ქალაქის აღმასრულებელმა კომიტეტმა, მუშათა დეპუტატების საბჭომ და სალდათების დეპუტატთა საბჭომ. ეს ოცი კაცი ყველიფე საარჩევნო თადარიგს მოახდენს და არჩევნებს გაუძღვება.

საბჭომ, თანახმად გამგეობის წინადადებისა, თავის წარმომადგენლებად საარჩევნო კომისიაში ფარულის კენჭის ყრით აირჩია ხმოსნები: ლ. ევანგულოვი, ს. გალუსტიანი, ა. ბაბოვი, ამირაღოვი და მ. ვესელოვზოროვი; ამათ კანდიდატებად—ტ. ტერ-სტეფანოვ, ბ. კავალენსკი და ნ. წერეთელი.

შემდეგ კრებამ, თანახმად გამგეობის მოხსენებისა, დაადგინა, რომ ტრამვაის შეღავათიან ბილეთში სალდათებს 3 კაპეიკი გადაახდევინონ, როცა ფეხზე დგანან ვაგონის წინ ანუ უკანა ბაქანზე.

ხანგრძლივი კამათი გამოიწვია ტრამვაის მოსამსახურეთა მოთხოვნილებამ, რომ მათ 8 საათზე მეტი მუშაობისათვის ზედმეტი სასყიდელი მიეცეს. ქალაქის საფინანსო კომისიას ეს მოთხოვნილება განუხილავს და გამორკვეულა, რომ მოსამსახურეთ ზედმეტ შრომის ფასს თუ მისცემენ ძირითადი ჯამაგირის მ ხედვით, მაშინ წლიურად ქალაქის კასიდან ზედმეტი დაიხარჯება 159,000 მანეთი; ხოლო, თუ ძირითად ჯამაგირის გარდა სამხედრო დროს მომატებული სასყიდელიც ანგარიშში იქმნა მიღებული, მაშინ ქალაქის კასამ წლიურად ზედმეტი 367,000 მანეთი უნდა გაიღოს. ტრამვაის მოსამსახურენი, რა თქმა უნდა, მომატებას თხოულობენ მთელი ეხლანდელ შრომის ფასის კვალობაზე. საფინანსო კომისიას ამოდენა ფულის გაღება შეუძლებლად მიაჩნია, რადგან, მისი, ანგარიშით, ტრამვაის შემოსავალი ხარჯებს ველარ გაუძლებს. ამიტომ საფინანსო კომისია საბჭოს ურჩევს, რომ თუ მოსამსახურეთა მოთხოვნილება დაკმაყოფილებულ იქმნება, ტრამვაის 3 კაპეიკიანი ბილეთი 5-ურად უნდა გახდეს და 5-ურიანი ორ შაურადო.

საფინანსო კომისიის წინადადების შეწყნარება ხმოსანთა უმრავლესობამ შეუძლებლად სცნა, მეორეს მხრივ ვერც ტრამვაის მოსამსახურეთა მოთხოვნილების დაუკმაყოფილებლობა გაბედა საბჭომ.

კრება გასაჭირიდან დაიხსნეს ხმოსნებმა ათაბეგოვმა და რამიშვილმა, რომელთა წინადადებით საკითხი გადასაწყვეტად გადაეცა მომრიგებელ კამერას. ამ კამერაში 10 კაცი არჩეულ უნდა იქმნას ქალაქის თვითმართველობის მხრივ და 10 კაციც მოსამსახურეთა მხრივ. ესენი ერთმანეთის თანხმობით თავმჯდომარედ მოიწვევენ გარეშე პირს. კომისიის დადგენილება საბჭოს წარედგინება დასამტკიცებლად.

## ფრონტის წარმომადგენელთა ყრილობა

**მაისის 1-ს სხდომა.**

კრება ზვანარიოვის თავმჯდომარეობით დაიწყო. დამტკიცებულ იქმნა პრეზიდიუმის დადგენილება, რომლითაც ამიერ-კავკასიის გზათა სადგურების ახლო მდებარე გარნიზონებმა სადგურებზე დელეგატების მორიგეობა უნდა შემოიღონ და დროებით განთავისუფლებულ ჯარის კაცთა მიმოსვლა მოაწესრიგონ. რკინის გზის სადგურებზე უნდა გაგზავნილ იქმნას ფრონტის ყრილობის დელეგატები, რომელთაც ყოველ გვარი უწესრიგობა უნდა გამოარკვიონ. მოხსენება წაიკითხა აკაკი ჩხენკელმა თანამედროვე ომისა და მასთან დამოკიდებულების შესახებ. მან ილაპარაკა სოციალისტურ პარტიების მოქმედების შესახებ თანამედროვე ომში და აღნიშნა, რომ ისინი წინააღმდეგი იყვნენ ომისა და სცდილობდენ მის ჩაქრობას და თუმცა ომის დასაწყისში ვერ გაიმარჯვეს, მაგრამ ომს ისინი დაამთავრებენო. წაუკითხა კრებას პეტროგრადის მუშათა და ჯარის კაცთა დეპუტატებისგან გამოტანილი რეზოლუცია ომთან დამოკიდებულების შესახებ და კრებას ამ რეზოლუციის მიღება ურჩია. კრებამ ეს რეზოლუცია მიიღო.

**მაისის 3 ს სხდომა.**

**ექ. გიგიბერია** მოხსენება წაიკითხა თავისუფლების სესხის შესახებ. დემოკრატიის ინტერესებისათვის საჭიროა ამას მხარი დაუჭიროთო. კამათის დროს ბოლშევიკები ამის წინააღმდეგი იყვნენ. გიგიბერიას რეზოლუცია კრებამ თითქმის ერთხმათ მიიღო.

**თუმ ნოვმა** წაიკითხა მოხსენება დამფუძნებელ კრების შესახებ.

5 მაისის სხდომაზე კრებამ თუმანოვის რეზოლუცია მიიღო.

**6. რამიშვილმა** წაიკითხა მოხსენება მუშათა საკითხის შესახებ. კრებამ მიიღო მოხსენებელის რეზოლუცია რვა საათის სამუშაო დღის დაუყოვნებლივ შემოღების შესახებ.

## საფრანგეთის დიდი რევოლუცია

**შესავალი.**

თუ დღევანდელს დღეს როგორმე დავივიწყებთ და გონების თვალით გადავფრინდებით საფრანგეთში 1789 წ. განსაკუთრებით რესპუბლიკის დაარსების მეორე წელს, სახელდობრ ორშაბათს, 1793 წ. იანვრის 21, შევეხებით პარიზის მღელვარე ქუჩებში, დავაკვირდებით უცნაურს ჩოჩქოლს, არაჩვეულებრივს დაზიდულს დრტვინვას, ხალხის ერთგვარს საიდუმლო შიშს და მის აჩქარებულს მისწრაფებას ელისეს ველისკენ რევოლუციის მოედანზე ადგილის დასაჭერად, სადაც შავი ეშაფოტი ამართულიყო მეფეთა შორის უბადრუკ ლუდოვიკ XVI დასასჯელად, მაშინ ადვილად დავინახავთ, რომ რუსეთის დღევანდელი რევოლუცია თითქოს ამ სახელოვანი მოძრაობის განმეორებაა. საფლავებიდან სდგებიან დიდებული მამულისშვილნი გამოცვლილ სახელებით. ეს შვილნი სიკვდილით და გადაღმა მკერდით ჰქმნიან საბედისწერო დამბაჩა-დაცემულ სამშობლოს ახალ ისტორიას, მის არსებობის საძირკველს. რუსეთის რევოლუციამ წარმოშვა თავისებური დანტონები და რობესპიერები, მალე საზარელ მორატისა და ჰებერის მოლოდინშიაც უნდა ვიყვნეთ, თუმცა ისიც შესაძლებელია, რომ მათ უკვე აუშვეს თავიანთი შავი ალამი და თეთრი ტერორით ემუქრებიან ოდნავად წაბორძიკებულს თანაბარი ხტართაც კი. არა, რაღაც არაჩვეულებრივი ფატალური მსგავსებაა! თუ საფრანგეთი თავისუფლების ჰიმნს სენის ნაპირებზე მაშინ მღეროდა, როდესაც ხალხი დაუსრულებელ ომებისგან სისხლიდან იცლებოდა, მრავალ ჭრილობით დაკოდილი სრულს სასოწარკვეთილებას და აპატიას მისცემოდა, ხოლო ერის მამაცი მხედრობა სამარცხვინო დაღს ისვამდა როსბახის ველზე დამარცხებით, აქ, დამონებულ ერს სლავიანობისას უხდება აბსოლუტიზმის დანგრევა მუკდენ-ცუსიმას სამარცხვინო ლაქისა და კარპატების საშინელ ეპოპეს შემდეგ, როდესაც მტრის მრისხანე ზარბაზანი დამიზნებულია მის გულის მოსაკლავად პეტრეს ქალაქის დასაცემად!

მაგრამ მარტო გარეგნული მსგავსება ამ ორის უდიდესი რევოლუციისა როდი ჰმარა. ისტორიამ იცის მრავალი რევოლუცია, მაგრამ მხოლოდ საფრანგეთისა ახსოვს მადლიანის გულით, მხოლოდ ისაა პოპულიარი, ამ ერთს რევოლუციას იხსენებს აღტაცებით. საღმრთო რომის იმპერიაც რევოლუციამ დაანგრია, მაგრამ რომში ისეთი შემრყეველი და აღმაფრთოვანებელი ცვლილება არ მომხდარა, როგორც საფრანგეთში. მხოლოდ საფრანგეთის გენიოსობამ, სიმტკიცემ, ენთუზიაზმმა და მისმა ძლიერმა მოძრაობამ შესძლო შეუძლებელი, მხოლოდ მანააფრიალა მთელი ევროპის განახლების დროშა, მხოლოდ ეს უკეთილშობილესი ერი ამ სახელოვან 1789 წლის მოძრაობით ანგრევს წმინდა გეოგრაფიულს საზღვრებს, უარჰყოფს ყოველს ეროვნულს და სცდილობს საზოგადო სამშობლოს და საყოველთაო კეთილდღეობის დამყარებას. ამ მოძღვრებას იგი სულით და გულით ეჭიდება როგორც ახალს რელიგიას, რომელიც სცდილობს მსოფლიო რელიგიის ადგილი დაიჭიროს, მაგრამ იგივე ახალი მოძღვრება ისეთივე შეუწყნარებელი ჰხდება, როგორც ყოველი მსოფლიო რელიგია: მას არა სწამს არავითარი მღვდელმსახურება, ტრადიცია, მეორედ მოსვლა, საიქიო ცხოვრება. ყოველისფერი მხოლოდ ამქვეყნიური,მიწიერი ბედნიერებაა. ამის გარდა მისთვის არავითარი მტერი არ არსებობს, არის მხოლოდ ძმობა, თანასწორობა. ამ ძმობისა და თანასწორობის ამბორის საყოფელად მოუწოდებს იგი ელლინსაც და ბარბარსაც. თვით ინგლისიც კი, ეს დაუძინებელი მისი მოსისხლე მტერი და ძმად იწამა. ჰაბუკურ აღფრთოვანებით სცდილობს ორბის სათამამე ფრთებით იკრიბოს, რათა ლაღად შეინავარდოს და დაამსხვრიოს ყველაფერი, რაც გუშინდელს აგონებს. ამ მხრივ დახავსებულ აბსოლუტიზმის მქომაგებელ და გამმაგრებელად მიაჩნია ეკლესია და სწორედ ამიტომაც მიაქვს მაზე იერიში. ეკლესია უნდა დაინგრეს. იგი მისთვის, უწინარეს ყოვლისა, სასტიკი ბატონია, რომელმაც განგებ, ხალხის სატანჯველად, კაცთა ნათესავი ორს ბანაკად გაჰყო—ღირსეულებად და

უდირსებად, სამოთხისა და ჯოჯოხეთის დასამკვიდრებლად. დევიზი ჟან-ჟაკ რუსოსი სრულს გამოხატულებას ჰპოულობდა ყოველ მებრძოლის აბობოქრებულს გულში. შინ თუ გარედ მისი ცეცხლმოდებული იმ დროისთვის სრულიად უჩვეო და უცნაური წინასწარმეტყველური მოწოდება გაისმოდა: „ხალხო, აღზდექით! შეისმინეთ თქვენი გულის ძახილი: ყველაფერი ხალხით... ყველაფერი ხალხისთვის... ხალხის ნება და სურვილი უზენაესის ნება და სურვილია! მეფენი მონების ჯაჭვებს ატარებენ! დაამსხვრიეთ ეს ჯაჭვები. ხელთ იპყარით გვირგვინოსნობის ძლიერი სკვიპტრა...“ რუსოს ამ მგზნებარე სიტყვებით ჰსუნთქავს მთელი საფრანგეთი და როგორც კოლლექტივური წინასწარმეტყველი მითიურ მესსიის თეთრი მერნით დანავარდობს მშვიდობისა და კაცთა შორის სათნოების დასამყარებლად.

გადვიხედოთ ახლა განახლების გზაზე უკვე დამდგარს რუსეთში. რა არის დღეს თუ არა იგივე სანუკვარი მოძრაობა, რაც იყო საფრანგეთში? ვისთვის ან რისთვის იბრძვის დღევანდელი შეერთებული ბურჟუა და პროლეტარი, ჯარისკაცი თუ ჯიბე გავსებული კაპიტალისტი, თუ არა იმ დახავსებულ რეჟიმის ძირიან-ფესვიანად აღმოსაფხვრელად, რასაც საფრანგეთში ancien regime-ს უწოდებდნენ! რა არის დღევანდელი პროლეტარიატის გატაცება დიქტატურის ხელში ჩასაგდებად, თუ არა იგივე სამღრთო სიგიჟე იაკობინელ-ჟირონდისტებისა და მონტანერებისა? იგივე უკეთილშობილესი გატაცებანი და ისიც სწორედ ამ საზოგადო სასოწარკვეთილების დროს, როდესაც რუსეთი შიგ გულში დაიკოდა თავის საკუთარს რომბახის ველზე! იგივე ფანტასტიური ძმობა-ერთობა... გუშინდელ ინგლისის როლში გამოსულ უსასტიკეს მტრის იაპონიის დამეგობრება... იგივე კრიზისები პოლიტიკისა და ეკონომიკის სფეროში... სასოწარკვეთილება და აპატია... ოპტიმიზმი და უკიდურესი პესსიმიზმი... ბრძოლა შინ... ომის მზარავი ქარიშხალი... „სამშობლო განსაცდელშია!“.. პარიზის კარის შელეწვის შიშის ნაცვლად პეტრეს ქალაქის სამღრთო ძრწოლა... არა, ამით არ თავდება პარალელები. აქაც ბევრია შავი და თეთრი, ყოველისფერი ისე ნარნარი და სპეტაკი სახით არ გამოიყურება, როგორც ეგონა რევოლიუციის სახელოვან ისტორიკოსს მიშლეს. მოძრაობა იგი გაცილებით საინტერესოა თვისი მრავალფეროვანებით, ვიდრე წარმოედგინა ხსენებულ ისტორიკოსის უწყინარს ფანტაზიას. დანაშაული და სასჯელი, ზნეობრივი სიწმინდე და სისხლით დამთვრალი სისასტიკე, ავაზაკობა და სინანული, კეთილშობილური იდეალი თუ აღმაშფოთებელი სიცოფე ქახქახა ნათელის ნაოჭებით მძიმე თალხის შავბნელს ტონებში იხაზება. აქ ყოველისფერი სტიქიურია. საფრანგეთის რევოლიუცია სწორედ რომ ორტახებ აწყვეტილი ცხოვრება იყო, სიცოცხლის ახლად აღმოხეთქილი შადრევანი და მიტომაც არ უნდა გვიკვირდეს მის ფერადების ასეთი სიმკვეთრე, ასეთი თამამი სიჭახჭახე.

დღევანდელს რუსეთის რევოლიუციაშიც ასე მძლავრადა ჰფეთქს სიცოცხლის ძარღვი. ჩვენ არ ვიცით, რითი გათავდება იგი, რა იქნება მისი ლოღიკური დასკვნა და აუცილებლობა, მოჰყვება აქაც ტირანია, სამხედრო დიქტატურა, შავბნელი ანარქია, რასაც დაერთო უსაშინელესი დესპოტიზმი ველურ სარდალ ნაპოლეონის მეოხებით, მაგრამ ის კი აშკარაა, რომ რაც დღეს მოხდა, მოხდა თითქმის ისეთსავე ფარგლებში და ისეთივე მასშტაბით, როგორც საფრანგეთის დიდი რევოლიუცია. როგორც მას, რუსეთსაც შიშველი ნაბიჯი დაუბჯენია გაღაჟღაჟებულს ნაკვერჩხლებზე, უზომოდ იწვის, იტანჯება, მაგრამ გაუტეხელის გულით და დაუშრეტელის ენერგიით ზიზღით იხსენიებს გუშინდელს დღეს—encin reqime-ს, ანთებულის მაშხალით სწვავს ყოველისფერს, რაც კი აგონებს საზიზღარი დამცირებისა და მონობის ბედს, მაგრამ იმავე დროს მოქანცული, ომებით სისხლდაღვრილი, უმაღლეს სასოწარკვეთილებას, და გაოგნების წერტილზე შემდგარი, როგორც მისი თანამოძმე საფრანგეთი, განახლების იმედს არ ჰკარგავს და დაღუპვის უფსკრულში გადატყორცნილი რკინის ხელებს მაღლა აწევდის ახალგაზრდა რუსეთს ახალი ბედის გამოსაჭედად, ალორძინების დროშის ასაფრიალებლად.

დღემდე, როგორც ვიცით, არა მომხდარა რა ახალი. ყოველისფერი განმეორებაა. ამ მხრივ რუსეთის დღევანდელი რევოლიუცია საფრანგეთის რევოლუციის განმეორებად მიგვაჩნია, უკეთესს შემთხვევაში მის პირმშო ბუშად, რომელიც ორტახებშივე იმუქრება და გაცილებით მეტს გვპირდება, ვიდრე მისი შორეული მშობელი. გვწამს, რუსეთი სამაგიეროს გადაუხდის, როგორც დავალებული ქვეყანა არა თუ საფრანგეთს, არამედ მთელს ევროპასაც. რაც უნდა იყოს ჯერ კიდევ მას არ უთქვია უკანასკნელი სიტყვა. უეჭველია, სიტყვა იგი იქნება მეტად მკვეთრი და გაცილებით მჭუხარე, ვიდრე ბრძოლის ველზე ახმაურებული დღევანდელი შემზარავი რკინისა და ლითონის ვეშაპები. მაგრამ ვიდრე ამ უკანასკნელს სიტყვას იტყოდეს, რითაც იგი არა თუ უნდა განსხვავდეს წინამორბედი მოძმისაგან, არამედ აღემატოს კიდეც შედეგებით და საზოგადო დიადი გავლენით ყველა ერებზედ, ჩვენი სურვილია ეს ფრიად დამახასიათებელი ხანა საფრანგეთის მოძრაობისა მოკლედ და მკაფიოდ გავახსენოთ ქართველს მკითხველს, სწორეთ ისე და იმ სახით, როგორც შეეძლო გაეგო და მოეთხოვა იგი დღევანდელს მდგომარეობაში მყოფს ქართველს, თუ ისტორიკოსს არა, ყოველ შემთხვევაში ისტორიის უსაზღვრო მოყვარულს მაინც...

დ. კასრაძე.

(შემდეგი იქნება.)

## 1783 წ. ტრაქტატი, ავტონომია და ფედერაცია

რა დამოკიდებულებაა ხსენებულ ტრაქტატსა და ავტონომიას შორის? უარჰყოფს თუ არა პირველი მეორეს? წინააღმდეგობაა თუ არა ამ პოლიტიკურ ფორმათა შორის?

როგორც ვიცით, ხსენებული ტრაქტატის ძალით ქართლ-კახეთის მეფემ—ერეკლე მეორემ—საგარეო პოლიტიკა, ომისა და მშვიდობის საქმეები რუსეთს გადასცა, შინაურ მართვა-გამგეობაში კი მასა და მის მონაცვლეებს სრული დამოუკიდებლობა, ან ავტონომია, უნდა ჰქონოდათ.

ამავე ტრაქტატიდან გამომდინარეობს სხვათა შორის ავტონომიური საქართველოს მონაწილეობა საერთო მიზნისათვის საჭირო ხარჯში, რუსეთის წარმომადგენლის კონტროლი, საქართველოს წარმომადგენლობა რუსეთის პარლამენტში და სხ.

ერთი სიტყვით, საქართველო შეიქნა ნახევრად დამოკიდებულ სახელმწიფოდ, რომლის დამახასიათებელ თვისებასაც, ფ. მარტენსის სიტყვით, წარმოადგენს საგარეო პოლიტიკის გადასვლა სხვა სახელმწიფოს ხელში და სრული ავტონომია შინაურ მართვა-გამგეობაში. მაშასადამე, იმ პოლიტიკურ-უფლებრივ მდგომარეობას, რომელიც განსაზღვრულია ხსენებული ტრაქტატით, ეწოდება ერთსა და იმავე დროს ნახევრად დამოკიდებული სახელმწიფო და ავტონომია.

მართალია, ტრაქტატი გულისხმობს აგრეთვე თანხმობით, გაერთიანებულ ბრძოლას ომის დროს და სავაჭროსი და ეკონომიური უპირატესობის მინიჭებას ორისავე მხარისათვის, მაგრამ ეს მხოლოდ იმას მოწმობს, რომ ტრაქტატი გარეშე იცავს მჭიდრო პოლიტიკურსა და ეკონომიურ ურთიერთობას რუსეთსა და საქართველოს შორის და არა შინაური მართვა-გამგეობის გაუქმებას.

როგორცა ვთქვით, შინაური მართვა-გამგეობა უნდა ყოფილიყო დამოუკიდებელი. საბაჟო და სავაჭრო პოლიტიკა, ფული, ადმინისტრაცია, სისხლის სამართლისა და სამოქალაქო კანონები, საზოგადო, ძირითადი ხასიათის კანონმდებლობა და სხ.—საქართველოს ავტონომიის ხელში უნდა დარჩენილიყო.

მაგრამ როგორ შეეძლო საქართველოს განეხორციელებია ხსენებული საერთაშორისო უფლებანი?! რა კი საგარეო პოლიტიკა რუსეთის ხელში გადავიდა, საქართველოს აღარ უნდა ჰყოლოდა უცხო სახელმწიფოებში, ეგრედ წოდებული დიპლომატიური აგენტები, რომელნიც აწარმოებენ პოლიტიკურ ხელშეკრულობათა, ომისა, ზავისა და სხვა ამგვარ პოლიტიკას, მაგრამ სრული უფლება ჰქონდა ჰყოლოდა კონსულები, რომელნიც წარმოადგენენ საერთაშორისო სოციალურ-კულტურულისა და სავაჭრო-სამრეწველო საქმეების მომწესრიგებელ ორგანოებს (ხ. ფ. მარტენსის „თანამედროვე საერთაშორისო უფლება განახლებულ ხალხთა“, ტომი 2).

ნუ გაგიკვირდება, მკითხველო ეს, რადგან, მაგალითად, ავსტრალიის ფედერაციას, ახალ-ზელანდიასა და ზოგიერთს სხვა ავტონომიას, რომელთაც ინგლისმა ავტონომიური თვითმართველობა აჩუქა, მოეპოებათ მეტ-ნაკლებით ხსენებული უფლებანი, ე. ი. აქვსთ თავისი ფული, თავისი სავაჭრო და საბაჟო პოლიტიკა (ასე გასინჯეთ, ინგლისიდან შეტანილ საქონელსაც კი ადებენ ბაჟს) და სხ.

ფინლიანდია შეუერთდა რუსეთს 1809 წ. შვეციასა და რუსეთს შორის დადებული ფრიდრიხსგამის „ტრაქტატის“ ძალით. ამ ხელშეკრულობის მეოთხე მუხლში სწერია: „ფინლიანდიის ყველა პროვინცია, მცხოვრებლებით, ქალაქებით, ნავთსადგურებით, ციხეებით, სოფლებით, კუნძულებითა და მიწა-წყლით გადადის რუსეთის იმპერიის სრულ საკუთრებასა და მორჩილებაში“ (იხ. ფ. მარტენსის თხზ. ტ. 1) ამ სდა მიუხედავად რუსეთის იმპერატორმა აჩუქა ამ პროვინციას ისეთი ავტონომია, რომელიც შეედრება საქართველოსა და რუსეთს შორის დადებულ ხელშეკრულობაში აღნიშნული ავტონომიის გარეშემცველობას.

ამგვარად უნდა ბოლო მოეღოს იმ ცრუ შეხედულობას, ვითომ ფინლიანდია, ავსტრალია, ახალი ზელანდია და კანადა წარმოადგენდენ დამოუკიდებელ სახელმწიფოებს. პირიქით, ისინი არიან უბრალო ავტონომიური პროვინციები იმისდა მიუხედავად, რომ მინიჭებული აქვსთ ფართო ავტონომიური უფლებანი.

მაშ რა დიდი ცოდვა იქნება, რომ განახლებულმა რუსეთმა აღადგინოს ძველი მთავრობის მიერ დარღვეული ხელშეკრულობა და დაუბრუნოს საქართველოს ხსენებული ტრაქტატით განსაზღვრული ავტონომიური თვითმართველობა, რომელიც სრულიადაც არ აღემატება, თავისი გარეშე შემცველობით ფინლიანდიის, ავსტრალიის, ახალი ზელანდიისა და სხ. ავტონომიების უფლებათ?!

მაგრამ დღეს ყველას ენაზე აკერია რუსეთის ფედერატიული ანუ საკავშირო რესპუბლიკა. რასაკვირველია, ეს უტოპიაა, განუხორციელებელი ოცნებაა: კავშირი გულისხმობს მოკავშირეთა ნებაყოფლობას, რუსეთის რესპუბლიკის ფედერაცია კი—ცენტრის, ე. ი. დამწესებელი პირების მიერ იქნება შედგენილი.

ფედერატიულ სახელმწიფოს ახასიათებს სხვათა შორის მცირეთა და დიდ შემადგენელ ავტონომიურ ნაწილთა თანასწორი წარმომადგენლობა ზედა პალატაში, აი ამის მაგალითები:

შვეიცარიის შტატების კავშირში (ზედა პალატაში) თვითო კანტონს ჰყავს ორ-ორი დეპუტატი (ქვედა პალატას, რომელშიაც თვითეული კანტონი მცხოვრებთა რაოდენობის მიხედვით გზავნის წარმომადგენლებს, ეწოდება საერო საბჭო).

ჩრდილო ამერიკის ზედა-პალატაში (სენატში) თვითეულ შტატს, დიდია ის თუ პატარა, ჰყავს ორ-ორი წარმომადგენელი.

მექსიკის ფედერატიულ რესპუბლიკაში თვითეულ შტატს ჰყავს სენატში ორ-ორი წარმომადგენელი.

არგენტინის ფედერატიულ რესპუბლიკაში თვითეულ შტატს ჰყავს სენატში სამ-სამი წარმომადგენელი.

ავსტრალიის ფედერაციაში თვითეული შტატი აგზავნის სენატში ექვს-ექვს წარმომადგენელს.

და, რადგან ყველგან სენატი თავის საკანონმდებლო კომპეტენციით უდრის ქვედა პალატას, თვითეულის პატარა შტატის უფლებანი უზრუნველყოფილია.

მეორე მხრით, ხსენებული ფედერატიული რესპუბლიკები წარმოადგენენ შემადგენელი ნაწილების თავისუფალ მოლაპარაკების შედეგს.

სულ სხვაგვარად არის საქმე გერმანიაში. აქ ეგრეთწოდებულს საკავშირო სეიმში, სადაც სხდიან გერმანიის სახელმწიფოთა წარმომადგენელნი (მოხელენი), პრუსიას დიდი უპირატესობა აქვს.

ავსტრიის ზედა-პალატაში (ბატონთა პალატაში) სხდიან წარჩინებული გვარების მეთაურები და იმპერატორს აქვს უფლება დანიშნოს მის წევრად, ვისაც ის ღირსად სცნობს.

მაშასადამე, იქ, სადაც სახელმწიფოთა კავშირი ძალაზეა აშენებული, პატარა შტატებს ანუ შემადგენელ ავტონომიურ ერთეულებს, არა ჰყავსთ იმდენივე წარმომადგენელი ზედა პალატაში, რამდენიც დიდ შტატებს.

შესაძლებელია თუ არა, რომ რუსეთის ფედერატიული რესპუბლიკის ზედა-პალატაში იმდენივე ადგილი დაუთმონ, მაგალითად, ქართველებს, სომხებს, ლიტველებს, თათრებს და სხ., რამდენიც ექნებათ ველიკორუსებს? ცხადია, რომ ეს არასოდეს არ იქნება და, მაშასადამე, რუსეთის ფედერატიული რესპუბლიკა ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით განუხორციელებელია, უტოპიაა, რომელსაც მთელი ჩვენი ენერგია არ უნდა შევალიოთ. 1783 წლის ტრაქტატის განხორციელება კი—შესაძლებელი იქნება ადრე თუ გვიან, რადგან რუსეთს ამით უზენაესი უფლება, სუვერენიტეტი, არ დაეკარგება (ოგორც არ დაჰკარგვია, მაგალითად, ფინლიანდიის მიმართ). ეს ტრაქტატი წარმოადგენს, მაშასადამე, რეალური პოლიტიკის საფუძველს.

შესაძლებელია თუ არა დღესვე განვახორციელოთ ეს პოლიტიკური იდეალი? ცხადია, რომ ამის თქმა ძნელია, უეჭველია ისიც, რომ ჩვენ არ ვიტყვით უარს იმაზე, რის მოპოვებაც დღესვე შესაძლებელი. მაგრამ ჩვენი სიტყვა დღესვე უნდა ვსთქვათ, ჩვენი ისტორიულ-ეროვნული უფლებანი დღესვე უნდა მოვითხოვოთ: თქმა—პირველი ნაბიჯია წინ იდეალის განხორციელებისაკენ.

ვახილ წერეთელი.

## კორესპონდენცია

### დემეშკოს საფლავზე.

**ქ. ზაქათალა.** ზაქათალასაც დაეტყო გამოღვიძება. აპრილის 30-ს, ქალაქი ზაქათალა და მახლობელი მრავალი სოფელი სტეფანე დემეშკოს საფლავზე შეიყარა და ზაქათალის ოლქის ერებმა ერთმანეთს ძმობა შეჰფიცეს. ვინ იყო დემეშკო? იგი 1905—6—7 წლების გმირია. მისი ისტორია ასეთია: ქ. ზაქათალაში იმ დროს ლებედინსკის პოლკი იდგა. მისი კამანდირი პოლკოვნიკი დობროვოლსკი ცუდი კაცი იყო, მის აგკაცობას საზღვარი არ ჰქონდა. ხალხის დაცინვა, ლანძღვა-გინება და ბასკილისებური დისციპლინა ბოროტების უმაღლეს წერტილს აღწევდა. მისმა ასეთმა მოქმედებამ მის წინააღმდეგ მთელი ზაქათალა აამხედრა. ამ დროს ლებედინსკის პოლკში მოვიდა რამდენიმე დასჯილი მატროსი შავი ზღვის ფლოტისა, შმიდტის ეკიპაჟისა. მათ რიცხვში იყო სტეფანე დემეშკო. მან ვერ გაუძლო დობროვოლსკის საქციელს და მოჰკლა იგი. ეს მოხდა 1907 წ. მარიამობისთვის ბოლო რიცხვებში. ერთხელ, როდესაც დობროვოლსკი ციხიდან ქალაქში მიდიოდა, დემეშკო მას წინ გადაეღობა და რევოლვერით მოჰკლა. შემდეგ დემეშკო დაიმალა, მაგრამ გასცეს. დემეშკოს სამხედრო სასამართლომ სიკვდილი მიუსაჯა. იგი დასახვრეტად ერთ ბინძურ ღელეში წაიყვანეს. იქ ბოძი იყო, რომელზედაც დემეშკოს მობმა უნდოდათ. დემეშკომ ამის უარი განაცხადა, არც თვალები აახვევინა და გმირულად შეხვდა სიკვდილს. ის ბოძი შემდეგ დასწვეს, დემეშკოს გვამი კი იქვე ჩაჰფლეს. დობროვოლსკის კი ძეგლი დაუდგეს იქ, სადაც იგი დემეშკომ მოჰკლა. და ეხლა, თავისუფლების დროს, ჯარის-კაცთა საბჭომ მოიგონა დემეშკო და მისი საფლავის განახლება და პოვნა გადასწყვიტა. პოვნა ძნელი იყო, მაგრამ დამწვარ ბოძის ძირი მიწაში დარჩენილიყო და იმით მიაგნეს. აპრილის 30-ს ზაქათალამ და მისმა მახლობელმა სოფლებმა დემეშკოს საფლავზე წითელი დროშებით მოიყარეს თავი და დიდი მიტინგი გაიმართა. იქვე მიტინგის დროს შეაგროვეს ფული დემეშკოს საფლავზე ძეგლის დასადგმელად.

გრ. ულენტი.

—

### სიღნაღი.

**გუნიას იუბილეს გამო.** აპრილის 18-ს, ქ. სიღნაღში კ. ი. ტყავაძის მეთაურობით აქაურ ქართველობისა კრება გაიმართა. კრების მიზანი იყო, თუ რა მონაწილეობა მიეღოთ მათ ვ. ლ. გუნიას იუბილეში. კრებაზედ ერთხმად იქმნა დადგენილი შეეგროვოს ფული ვ. გუნიას სახლ-კარის შესაძენ თანხის გასაძლიერებლათ, რისთვისაც აირჩიეს კომისია შემდეგი შემადგენლობით: ვ. ალუღიშვილი, ბ. ვარდიაშვილი და ნ. ნასყიდაშვილი.

შეგროვილ იქმნა სიღნაღის ქართველთა შორის ორმოცი თუმანი.

მეორე კრებაზე აპრილის 26 საზოგადოებამ აირჩია ორი დელეგატი: სტუდენტი ი. მოსაშვილი და ვ. ალუღიშვილი, რომელთაც დაევალათ დასწრებულიყვნენ ვ. ლ. გუნიას იუბილეს, მიჰსალმებოდნენ მას სიღნაღის ქართველობის სახელით და სახლ-კარის შესაძენ თანხის გასაძლიერებლათ შეგროვილი ფული გადაეცათ.

ბ. ვარდიაშვილი.

რედაქტორი გრიგოლ ვეშაპიძე.
გამომცემელი ამხ. „საქართველო“.

გულდამწვარი მეუღლე მარიამი ზაქარიას ასული დაჲ ზაქარია ნიჟარაძენი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ შაბათს, 13 მაისს, ქალ. ქუთაისში საფიჩხიის სასაფლაოზედ გადახდილი იქნება ექვსი თვის წირვა და პანაშვიდი მე-14 კავკასიის მსროლელთა პოლკის პორუჩიკის

**სილიბისტრო ისიდორეს ძის**

**დოლიძის**

სულის მოსახსენებლად. 1—637—1

**მოქალაქენო**

**ქალაქის მე-8 ნაწილისა!**

ხუთშაბათს, ამაღლება დღეს, დილის 11 საათზე, ხელოსანთა კლუბში დანიშნულია უკანასკნელი **საზოგადო კრება** თბილისის მე-8 ნაწილის მცხოვრებთა, განურჩევლად სქესისა და ეროვნებისა, ასარჩევად 25 სამოქალაქო და 7 სასურსათო კომიტეტების წევრთა.

1—638—1 დროებითი ბიურო მე-8 ნაწილისა.

**სახელმწიფო თეატრი**

**ვალ. შალიკაშვილის წარმოდგენა:**

შაბათს, 13 მაისს, სახელმწიფო თეატრში ვალ. შალიკაშვილი, თბილისის დასის მონაწილეობით, გამართავს წარმოდგენას. წარმოდგენილი იქნება

**ლალაში**

5 მოქ. ალ. სუმბათაშვილისა.

მონაწილეობენ: ქ. ქ. ტ. აბაშიძე, ე. ანდრონიკაშვილი, ნ. დავითაშვილი, ე. ჩერქეზიშვილი, მ. ქილარჯიშვილი; ბ.ტ. ვ. აბაშიძე, შ. დადიანი, ნ. გვარამე, ი. ზარდალიშვილი, ვ. მატარაძე, ნ. ციციშვილი, ა. სანდილიძე, ვალ. შალიკაშვილი, შ. საფაროვი, ი. თარალაშვილი.

პიესას დახდგამს კონტ. ანდრონიკაშვილი.

ადგილების ფასი 6 მ.-დან 45 კ.-მდე. დასაწყისი $8^1/_4$ საათზე.

ბილეთები ამ თავითვე იყიდება თეატრის კასაში. 3—675—1

**ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა გამგეობა ხელმეორედ იწვევს**

**მრეწველთა კრებას**

**დღეს ჭიათურაში**

ადგილობრივ თეატრის დარბაზში, 12 მაისს, დღის 12 საათზედ.

განსახილველია გამგეობის მიერ წამოყენებული შემდეგი კითხვები:

1) განხილვა და დამტკიცება შავი ქვის მრეწველთა წესდებისა, 2) განხილვა და გამორკვევა შავის ქვის მრეწველთა არსებულ საბჭოსთან დამოკიდებულებისა, 3) არჩევნები სხვა და სხვა თანამდებობის პირთა.

შავი ქვის მრეწველთა გამგეობა.

1—679—1

**კახელ მევენახეთა საზოგადოება**

**„კახეთი“.**

გამგეობა ამით აცხადებს, რომ კვირას, 14 მაისს, ქ. თელავში, საღამოს 7 საათზე, დანიშნულია საზოგადოების

**წევრთა არა ჩვეულებრივი კრება.**

განსახილველია:

1) ღვინის ვაჭრობის აკრძალვა და მისგან გამოწვეული ხარჯების შემცირება, 2) არჩევნები სამი სარევიზიო კომისიის წევრისა და 3) მიმდინარე საქმეები. 1—678—1

**„ახალი საკრებულო“**

(ყოფილი ხარფუხის კლუბი)

**გადავიდა საზაფხულო შენობაში** (მიხეილის პროსპ. № 129).

**ხუთშაბათს 11 მაისს**

**სიმებიანი ორკესტრი**

**სინემატოგრაფი**

**დასაწყისი საღამოს 8 საათზე.**

სტუმრები საზოგადო წესით. 1—681—1

**მიიღება ხელის მოწერა 1917 წ.**

საქართველოს „სოციალ-დემოკრატიულ პარტიის“ (ავტონომისტთა) გაზეთ

**„ხალხის თავისუფლება“-ზე**

(წელიწადი პირველი. გამოდის კვირაში ორჯერ)

ივ. გომართლის მახლობელი და მუდმივი მონაწილეობით, მუშათა და ჯარისკაც მწერალთა თანამშრომლობით დ იოსებ იმედაშვილის რედაქტორობით.

გაზეთის მიზანია: მუშათა ხალხის სამსახური, ეროვნულ საკითხის მუშური თვალსაზრისით გაშუქება, ავტონომისტების გაერთიანება და საქართველოს ტერიტორიალურ ავტონომიის პოპულარიზაცია ხალხში.

გაზეთი ღირს: ამა წლის ბოლომდე—5 მან., თითო ნომერი 5 კ. ხელის მოწერა მიიღება რედაქციის საკუთარ ბინაზე (ბაზრის ქ., № 20, ნ. არჯევანიძის სახ. ალექსანდრეს ბაღის თავში) და „სორაპნის“ სტამბის კანტორაში, მისამართი: Тифлисъ, Ред. „Халхисъ Тависуфлеба“ І. Имедашвили.

(10—638—5)

**თევზის მრეწველნი**

**ძმ. ძეძველოვები**

პუშკინის ქუჩა, საკუთარი სახ., № 9, ტელეფონი № 712.

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „დ. ძეძველოვის-ძმის“ სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის ხიზილალა, მცირე მარილიანი, შავი „მშ“ „შიჩნი“ ხიზილალა. მივიღეთ საუკეთესო სალიანის შამაიები მუდმივ გვაქვს ცოცხალი თევზი. აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფორეჯი და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინამებს.

სტამბა ცხოვრება ასლან კალანდაძისა, გაბაევის შესახვევი № 4.